საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2017-2018

1. სასტიპენდიო პროგრამის დასახელება

საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2017-2018

2. სასტიპენდიო პროგრამის აღწერა

ა) დასაბუთება

სასტიპენდიო პროგრამა - საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები 2017-2018 (შემდგომში - სასტიპენდიო პროგრამა) წარმოადგენს სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) სასტიპენდიო პროგრამას. [1]

სასტიპენდიო პროგრამის საშუალებით საქართველოს მოქალაქეებსა და პირადობის ნეიტრალური მოწმობისა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელებს შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება და სწავლა განაგრძონ საზღვარგარეთ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ამ პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განსაზღვრულ პროგრამულ მიმართულებებზე/სპეციალობებზე.

აღნიშნულ პირებს აქვთ თანაბარი უფლება ისარგებლონ სასტიპენდიო პროგრამით დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა, ეროვნული ან სოციალური წარმოშობისა, დაბადების ადგილისა ან სხვა ნიშნისა, ამ სასტიპენდიო პროგრამით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

დაფინანსება გაიცემა კონკურსის წესით სამართლიანობის, შეჯიბრებითობისა და გამჭირვალობის პრინციპების დაცვით. გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა საკონკურსო კომისია, რომელიც იქმნება ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

დაფინანსება გაიცემა ერთი აკადემიური წლისათვის სრულად ან ნაწილობრივ. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც ერთწლიან, აგრეთვე ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირებს.

სამაგისტრო პროგრამის განსაკუთრებული წარმატებით დასრულებისას, კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა კონკურსის წესით კვლავ მოითხოვოს დაფინანსება სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით.

[1] განახლებულია საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამის შესაბამისად.

პროგრამა არ ითვალისწინებს ნებისმიერი არასტანდარტული, მათ შორის: სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმის მქონე, ელექტრონული ფორმის, დისტანციური, ინტეგრირებული, ე.წ. "Executive" სამაგისტრო პროგრამების დაფინანსებას.

კონკურსის მსვლელობისას მხედველობაში მიიღება ინფორმაცია:

ა) თუ კონკურსანტს მოპოვებული აქვს ინსტიტუციური თანადაფინანსება;

ბ) პირველად გეგმავს სწავლის გაგრძელებას საზღვარგარეთ;

გ) აქვს სამუშაო გამოცდილება საუნივერსიტეტო სივრცეში/აკადემიური სფეროში.

ბ) მიზნები და ამოცანები

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია საქართველოს მოქალაქეებისათვის და პირადობის ნეიტრალური მოწმობისა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელთათვის უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ხელმისაწვდომობის ამაღლება.

პროგრამის ამოცანებია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭირო კვალიფიციური კადრების მომზადება და მათი შესაბამის სფეროში/დაწესებულებაში ინტეგრირების ხელშეწყობა. აგრეთვე, კურსდამთავრებულთა სრულად ან ნაწილობრივ ინტეგრირება საუნივერსიტეტო სივრცეში - სწავლებაში, კვლევაში, აკადემიური სივრცის განვითარებისა და მოდერნიზაციის პროექტებში.

გ) პროგრამის სამიზნე ჯგუფი

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები, პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირები, რომლებიც ჩაირიცხნენ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ამ სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განსაზღვრულ პროგრამულ მიმართულებებზე/სპეციალობებზე. კერძოდ:

1. მოპოვებული აქვს ბაკალავრის ან/და შემდგომი საფეხურის აკადემიური ხარისხი;
2. სწავლობს ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსზე;
3. სწავლობს უცხოეთის უნივერსიტეტში, პრიორიტეტულად გამოცხადებული მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე და ითხოვს მომდევნო სასწავლო წლის დაფინანსებას.

დ) პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებები/სპეციალობები

სასტიპენდიო პროგრამის მონაწილე ჩარიცხული უნდა იყო საზღვარგარეთ, შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე, აღნიშნული სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განსაზღვრულ პროგრამულ მიმართულებაზე/სპეციალობაზე.

2017-2018 სასწავლო წლისათვის სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტულად განისაზღვრა შემდეგი პროგრამული მიმართულებები/დარგთაშორისი მიმართულებები/სპეციალობები:

- აგრარული მეცნიერებანი;
- განათლება;
- ინჟინერია;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი;
- სოციალური მეცნიერებები;
- ჰუმანიტარული მეცნიერებანი;
- სამართალი;
- არქიტექტურა;
- საჯარო მმართველობა;
- მენეჯმენტი.

ე) პროგრამის შედეგი

პროგრამის შედეგს წარმოადგენს დაფინანსებული პირის მიერ სწავლის დასრულების შემდგომ შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. აგრეთვე, სწავლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში საქართველოში დაბრუნება, ქვეყანაში სამი წლით დარჩენა და დასაქმება შესაბამის სფეროში/დაწესებულებაში.

აგრეთვე, პროგრამის შედეგს წარმოადგენს კურსდამთავრებულთა სრულად ან ნაწილობრივ ინტეგრირება საუნივერსიტეტო სივრცეში - სწავლებაში, კვლევაში, აკადემიური სივრცის განვითარებისა და მოდერნიზაციის პროექტებში.

აღნიშნულით მიიღწევა პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება - სამიზნე ჯგუფისათვის საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობით, მიღებული ცოდნის სახელმწიფოში რეალიზაციისა და მაღალკვალიფიციური საკადრო რესურსების ზრდის მიზნით.

ვ) საკონკურსო ვადა

2017 წლის 25 აპრილიდან 2017 წლის 25 მაისის ჩათვლით (19:00 სთ-მდე თბილისის დროით).

3. პროგრამის განხორციელება

პროგრამის განმახორციელებელია ცენტრი და საკონკურსო კომისია. სასტიპენდიო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კონკურსის გამოცხადების გზით.

ა) კონკურსის გამოცხადების პროცესი გულისხმობს:

- სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ სასტიპენდიო პროგრამის დამტკიცებას და კონკურსის გამოცხადებას; ცენტრი კონკურსს აცხადებს ოფიციალური ვებ-გვერდის IEC.GOV.GE მეშვეობით;
- საზოგადოების ინფორმირებას და პროგრამაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- საკონკურსო ვადაში დაინტერესებული პირების მიერ ელექტრონული განაცხადის შევსებას და შესაბამისი დოკუმენტაციის (მათ შორის უცხო ენაზე შედგენილი) ატვირთვას ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინტეგრირებულ ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში https://app.iec.gov.ge/ არასრული განაცხადი არ განიხილება.
- საკონკურსო ვადის ამოწურვის შემდეგ კომპეტენციების ფარგლებში ცენტრის ადმინისტრაციისა და საკონკურსო კომისიის მიერ განაცხადების შეფასებასა და კონკურსანტებთან გასაუბრების გზით გამარჯვებულის გამოვლენას.
- გამარჯვებულ კონკურსანტებთან ხელშეკრულების გაფორმებას და ფინანსურ უზრუნველყოფას;
- ცენტრის ადმინისტრაციის მიერ დაფინანსებულ პირთა მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

ბ) საკონკურსო კომისია. საკონკურსო შეფასების პროცესი.

გამარჯვებულის გამოვლენისა და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია. კომისიის შემადგენლობას და უფლებამოსილებებს ამტკიცებს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი.

საკონკურსო კომისიის მიერ ელექტრონული განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის შეფასება ხდება შეფასების ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ქულების მაქსიმალური რაოდენობაა 100 (+ დამატებითი) ქულა. აქედან:

- ელ. განაცხადის შეფასებისას მაქსიმუმ 50 ქულა;
- გასაუბრების შეფასებისას მაქსიმუმ 50 ქულა;
- დამატებითი ქულა მაქსიმუმ 3 (სოციალურად დაუცველის, შშმ პირის, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებს), ერთი სტატუსისათვის 1 ქულა.

კონკურსი შედგება სამი ეტაპისაგან:

პირველი ეტაპი - ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ადმინისტრაციული (ფორმალური) შემოწმება. არასრული განაცხადი არ განიხილება. ცენტრი უფლებამოსილია კონკურსანტს მოსთხოვოს წარმოდგენილი დოკუმენტის დაზუსტება.

მეორე ეტაპი - ელექტრონული განაცხადების შინაარსობრივი შეფასება. ელ. განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის შინაარსობრივი შეფასების საფუძველზე, კონკურსანტი გადადის კონკურსის მესამე ეტაპზე შესაბამისი ქულის დაგროვების შემთხვევაში, თუკი ასეთი იქნა დადგენილი. აღნიშნულ ეტაპზე კონკურსანტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 50 ქულა.

მესამე ეტაპი - გასაუბრება. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი იმყოფება საზღვარგარეთ გასაუბრება ჩატარდება ელექტრონულად - სკაიპის საშუალებით. აღნიშნულ ეტაპზე კონკურსანტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 50 ქულა.

შეფასების კრიტერიუმებსა და ფორმებს ამტკიცებს საკონკურსო კომისია.

4. საკონკურსო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია

საკონკურსო პირობები:

1. არის საქართველოს მოქალაქე, პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და/ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი;
2. ასაკი არ აღემატება 35 წელს;
3. ჩაბარებული აქვს აქვს უცხოეთის უნივერსიტეტში, პრიორიტეტულად გამოცხადებული პროგრამული მიმართულების/სპეციალობის სამაგისტრო პროგრამაზე, გააჩნია უპირობო ჩარიცხვის (გარდა ფინანსური და ადმინისტრაციული პირობისა) დამადასტურებელი ოფიციალური საბუთი გარდა ამ პროგრამის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის მე-5 ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევისა.
4. მოპოვებული აქვს ბაკალავრის ან/და შემდგომი საფეხურის აკადემიური ხარისხი. საბოლოო ჯამური შეფასება: GPA-ს გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში მინიმუმ 3.0, 100 ქულიანი შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში მინიმუმ (B) ძალიან კარგი (81-90), ან შესაბამისი ქულა განსხვავებული შეფასების სისტემის შემთხვევაში;
5. ან სწავლობს ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსზე. განვლილი სასწავლო წლების და სემესტრის ჯამური შეფასება: GPA-ს გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში მინიმუმ 3.0, 100 ქულიანი შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში მინიმუმ (B) ძალიან კარგი (81-90), ან შესაბამისი ქულა განსხვავებული შეფასების სისტემის შემთხვევაში;
6. ან სწავლობს უცხოეთის უნივერსიტეტში, პრიორიტეტულად გამოცხადებული მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე და ითხოვს მომდევნო კურსის დაფინანსებას (განვლილი სასწავლო წლის ან/და სემესტრის ჯამური შეფასება GPA-ს გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში მინიმუმ 3.0, 100 ქულიანი შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში მინიმუმ (B) ძალიან კარგი (81-90), ან შესაბამისი ქულა განსხვავებული შეფასების სისტემის შემთხვევაში;
7. აქვს მინიმუმ ერთწლიანი სამუშაო (მათ შორის, სტაჟირების, პრაქტიკის გავლის, კვლევითი საქმიანობის) გამოცდილება.

წარმოსადგენი დოკუმენტები:

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის/პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის ასლი;
2. CV/რეზიუმე;
3. სამოტივაციო წერილი;
4. უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრიორიტეტულად გამოცხადებული მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე უპირობო ჩარიცხვის წერილი (გარდა ფინანსური და ადმინისტრაციული პირობისა);

5. ბაკალავრის ან/და შემდგომი აკადემიური ხარისხის დიპლომი/ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ და დიპლომის დანართი/ნიშნების ფურცელი დიპლომის საბოლოო საშუალო ქულის მითითებით);
6. ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ და განვლილი სასწავლო წლების და მიმდინარე სემესტრის შეფასების ფურცელი საშუალო ჯამური ქულის მითითებით;
7. უცხოეთის უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამის მეორე ან მომდევნო კურსის დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ და განვლილი სასწავლო წლის ან/და სემესტრის შეფასების ფურცელი საშუალო ჯამური ქულის მითითებით;
8. დიპლომის დანართში/შეფასების ფურცელში დიპლომის საშუალო ქულის მიუთითებლობის შემთხვევაში ცნობა სასწავლებლიდან დიპლომის საშუალო ქულის შესახებ; აღნიშნული დოკუმენტის წარდგენისგან თავისუფლდებიან „წარჩინების“ ან ამ სტატუსის შესაბამისი დიპლომის მქონე კონკურსანტები;
9. ერთი რეკომენდაცია;
10.დოკუმენტი სწავლის საფასურის შესახებ, საყოფაცხოვრებო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში - მოთხოვნილი თანხის ოდენობა;
11.სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი/-ები;
12.ნაშრომების, კვლევებისა და პუბლიკაციების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე სიგელების/სერტიფიკატების ასლები **(არსებობის შემთხვევაში);**
13.სოციალურად დაუცველის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან/და იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი **(არსებობის შემთხვევაში).**

5. დაფინანსების გაგრძელების წინაპირობა

ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის სამაგისტრო პროგრამაზე დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში, პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობის ფარგლებში, კომისიის მიერ მომდევნო აკადემიური წლისათვის დაფინანსების განხილვის საფუძველია მაღალი აკადემიური მოსწრება - GPA-ს გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში მინიმუმ 3.0, 100 ქულიანი შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში მინიმუმ (B) ძალიან კარგი (81-90), ან შესაბამისი ქულა განსხვავებული შეფასების სისტემის შემთხვევაში. დამატებითი პირობები შეიძლება დადგინდეს ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით.

6. მხარეთა ვალდებულებები, სახელშეკრულებო ურთიერთობები

ამ სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტის განკარგვის საფუძველია ცენტრსა და დაფინანსებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულება გრანტის შესახებ. ამ ხელშეკრულებით განისაზღვრება მხარეთა უფლება-მოვალეობები, ანგარიშსწორების წესი და ა.შ.

კონკურსში გამარჯვებულ ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსის სტუდენტებთან გრანტის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდება ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ოფიციალური დოკუმენტისა და შესაბამისი აკადემიური მოსწრების წარმოდგენის შემდეგ.

უცხოეთის უნივერსიტეტში ჩარიცხულ პირს, რომელიც საჭიროებს მომდევნო სასწავლო წლის დაფინანსებას და საკონკურსო ვადებში განვლილი აკადემიური წლის საბოლოო შეფასება ვერ წარმოადგინა გრანტის შესახებ ხელშეკრულება გაუფორმდება განვლილი სასწავლო წლის საბოლოო შეფასების (GPA-ს გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში მინიმუმ 3.0, 100 ქულიანი შეფასების სისტემის არსებობის შემთხვევაში მინიმუმ (B) ძალიან კარგი (81-90), ან შესაბამისი ქულა განსხვავებული შეფასების სისტემის შემთხვევაში) წარმოდგენის შემთხვევაში.

აღნიშნული პირობის შეუსრულებლობა წარმოადგენს ცენტრის მხრიდან ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის საფუძველს. აგრეთვე, თუ კონკურსში გამარჯვებულის მიმართ არსებობს სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;
თუ არსებობს ისეთი გარემოება, რომელიც შეუთავსებელია სასტიპენდიო პროგრამასთან.

ცენტრი იღებს ვალდებულებას კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად განახორციელოს დაფინანსებული პირის ფინანსური უზრუნველყოფა შესაბამისი ოდენობითა და ამ პროგრამით დადგენილი ანგარიშსწორების წესით.

დაფინანსებულმა პირი იღებს ვალდებულებას:
- სწავლის დასრულების შემდგომ წარმოადგინოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი.
- საზღვარგარეთ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფინანსებული პირი უნდა დაბრუნდეს საქართველოში სწავლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, დარჩეს ქვეყანაში 3 წელი და დასაქმდეს საქართველოში, შესაბამის სფეროში/დაწესებულებაში.
- ცენტრის მიერ შეთავაზების შემთხვევაში ითანამშრომლოს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (უნივერსიტეტებთან) ან განათლების თემატიკაზე მომუშავე სახელმწიფო დაწესებულებებთან.

დაფინანსებულ პირს სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს ერთი წლის ვადით შეიძლება მიეცეს საზღვარგარეთ დარჩენის უფლება შესაბამის სფეროში/მიმართულებით სამუშაო გამოცდილების დაგროვების მიზნით. უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია. აღნიშნული მიზნით დაფინანსებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დასაბუთებული განცხადება და დასაქმების შესახებ ოფიციალური დოკუმენტი. აღნიშნული განიხილება დასაქმების შესახებ ვალდებულების შესრულების გადავადებად და ვალდებულების შესრულების ვადის ათვლა დაიწყება შესაბამისი პერიოდის ამოწურვისთანავე.

პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება კონკურსის წესით კვლავ მოითხოვოს დაფინანსება სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით. აღნიშნული განიხილება დასაქმების შესახებ ვალდებულების შესრულების გადავადებად და ვალდებულების შესრულების ვადის ათვლა დაიწყება სადოქტორო პროგრამის დასრულებიდან.

ამავე ან ცენტრის სხვა სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში არ აქვს უფლება მოითხოვოს დაფინანსება საზღვარგარეთ სამაგისტრო მიზნით ამ პროგრამითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

დაფინანსებული პირის მიერ ამ პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ფინანსურ პასუხისმგებლობას. კერძოდ, დასაქმებისა და შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შესახებ ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში დაფინანსებული პირი ვალდებულია სრულად დააბრუნოს გრანტის სახით მიღებული თანხა გრანტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

პროგრამის ფარგლებში სხვა უფლება-მოვალეობები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული გრანტის შესახებ ხელშეკრულებით.

6. დაფინანსების სახეები. ანგარიშსწორების წესი. პროგრამის ბიუჯეტი.

დაფინანსება გულისხმობს სწავლის საფასურის ან/და სწავლასთან დაკავშირებული ან/და სწავლის პერიოდში შესაბამის ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯების სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას.

კომისიის გადაწყვეტილებით გრანტის სახით გამოყოფილ თანხას ცენტრი ურიცხავს დაფინანსებულ პირს მიზნობრიობის შესაბამისად:

- სწავლის საფასურს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ დაწესებულებაში დადგენილია საქართველოს ხაზინაში მოქმედი საერთაშორისო გადარიცხვის წესისგან განსხვავებული წესი.
- სწავლის პერიოდში შესაბამის ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი თანხა ირიცხება დაფინანსებული პირის პირად საბანკო ანგარიშზე.

პროგრამით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილი იქნება „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცენტრისათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.